მარგარეტ ეტვუდი

ბრმა მკვლელი

დიდ ბენეს
ბიბლიოთეკა

მარგარეტ ეტვუდი
ბრმა მკვლელი

Margaret Atwood
THE BLIND ASSASSIN

ინგლისურიდან თარგმნა თამარ ჯაფარიძემ

გარეკანზე: ჯეისონ გრანტის ნამუშევარი

© 2000 by O.W. Toad, Ltd.
All rights reserved.

© გამომცემლობა „დიოგენე“, 2014, 2024
ყველა უფლება დაცულია.

ISBN 978-9941-11-883-8

www.diogene.ge

სარჩევი

I

ხიდი 11
ტორონტო სტარი, 26 მაისი, 1945 14
ბრმა მკვლელი: ალპური ბაღის მრავალწლოვანი მცენარეები..... 16

II

ბრმა მკვლელი: მაგრად მოხარშული კვერცხი..... 21
გლოუბ ენდ მეილი, 4 ივნისი, 1947 28
ბრმა მკვლელი: სკამი პარკში 30
ტორონტო სტარი, 25 აგვისტო, 1975..... 36
ბრმა მკვლელი: ხალიჩები..... 37
გლოუბ ენდ მეილი, 19 თებერვალი, 1998..... 43
ბრმა მკვლელი: პომადით დახატული გული 44
პოლკოვნიკ ჰენრი პარკმენის სახელობის კოლეჯის სათაო ოფისის,
კოლეჯისა და მისი კურსდამთავრებულების ასოციაციის
ბიულეტენი. პორტი ტიკონდეროგა, 1998 წლის მაისი..... 54

III

დაჯილდოება..... 59
ვერცხლის ზარდახშა..... 71
ღილების ფაბრიკა 80
ავილიონი 92
მზითევი 107
გრამოფონი 120
პურის დღე..... 112
შავი ბაფთები 149
გაზიანი წყალი 154

IV

ბრმა მკვლელი: კაფე 163
პორტ ტიკონდეროგა, ჰერალდ ენდ ბანერი, 16 მარტი, 1933 168
ბრმა მკვლელი: დალიანდაგებული გადასაფარებელი 170
მეილ ენდ ემპაიერი, 5 დეკემბერი, 1934 176
ბრმა მკვლელი: მაცნე 178
მეილ ენდ ემპაიერი, 15 დეკემბერი, 1934 187
ბრმა მკვლელი: ღამის ცხენი 189
მეიფეარი, მაისი, 1934 194
ბრმა მკვლელი: ბრინჯაოს ზარი 196

V

ქურქი 205
დაქანცული ჯარისკაცი 217
მის ძალმომრეობა 229
ოვიდიუსის მეტამორფოზები 242
ღილების ფაბრიკის პიკნიკი 254
პურის მომნიჭებლები 270
ხელით დაფერვა 286
გრილი სარდაფი 301
სხვენი 317
იმპერიალი 329
არკადიან კორტი 339
ტანგო 353

VI

ბრმა მკვლელი: კუბოკრული პიჯაკი 367
ბრმა მკვლელი: წითელი ფარჩა 373
ტორონტო სტარი, 26 აგვისტო, 1935 380
ბრმა მკვლელი: ფეხით გასეირნება 382
ბრმა მკვლელი: მეეზოვე 391
მეიფეარი, თებერვალი, 1936 402
ბრმა მკვლელი: გაყინული უცხოპლანეტელი 404

VII

ძველი სკივრი 417
ცეცხლოვანი გეენა 427
ევროპიდან გამოგზავნილი ღია ბარათები 442
კრემისფერი ქუდი 457
ჭკუადაკარგული 466
სანისაიდი 476
შანგდუ 487

VIII

ბრმა მკვლელი: მგლური ამბები 501
„მეიფეარი“, ივლისი, 1936 512
ბრმა მკვლელი: Aa'A-ს საუცხოო ქალები 514
მეილ ენდ ემპაიერი, 19 სექტემბერი, 1936 526
ბრმა მკვლელი: თოფ ჰეთ გრილი 528

IX

სარეცხი 537
საფერფლე 548
თავზე ალმოდებული კაცი 560
უოთერ ნიქსი 568
წაბლის ხე 580

X

ბრმა მკვლელი: ქსენორელი კაც-ხვლიკები 585
მეიფეარი, მაისი, 1937 590
წერილი ბელა ვისტადან 592
ბრმა მკვლელი: კოშკი 594
გლოუბ ენდ მეილი, 26 მაისი, 1937 599
ბრმა მკვლელი: იუნიონ სთეიშენი 601

XI

საპირფარეშოს კაბინა 607
კნუტი 612
ლამაზი ხედი 622

კაშკაშა მთვარე 629
ბეტის სასაუზმე 639
შეტყობინება 650

XII

გლოუბ ენდ მეილი, 7 ოქტომბერი, 1938 657
მეიფეარი, ივნისი, 1939 659
ბრმა მკვლელი: სად---სტაც-ო დარბაზი 661
ბრმა მკვლელი: ყვითელი ფარდები 669
ბრმა მკვლელი: ტელეგრამა 673
ბრმა მკვლელი: საკიელ ნორნის განადგურება 676

XIII

ხელთათმანები 681
ოჯახური კერა 688
დაიანა სვიტსი 696
ესკარპი 707

XIV

ოქროს კულული 717
გამარჯვებას ხშირად მარცხი მოსდევს 723
ნანგრევები 734

XV

ბრმა მკვლელი. ეპილოგი: მეორე ხელი 743
პორტ ტიკონდეროგას ჰერალდ ენდ ბანერი, 29 მაისი, 1999 წელი 745
ზღურბლი 747

I

ხიდი

ომი ათი დღის დამთავრებული იყო, როცა ჩემი და, ლორა, მანქანით ხიდიდან ხევში გადაიჩეხა. ხიდზე აღდგენითი სამუშაოები მიმდინარეობდა, მან კი პირდაპირ გამაფრთხილებელი საგზაო ნიშნისკენ აიღო გეზი. მანქანამ ასი ფუტი იფრინა, ახლად აბიბინებულ ხეებს კენწეროები წააცალა, ალმოდებული რამდენჯერმე ამოტრიალდა, მდინარის თავთხელში ჩავარდა და ხიდის ნანგრევებით დაიფარა. ჩემი დისგან დანახშირებული ძვლების გროვაღა დარჩა.

უბედურების ამბავი პოლიციელმა შემატყობინა; მანქანა ჩემი იყო და ადვილად მომაგნეს. პოლიციელი მოწიწებული და დამწუხრებული ტონით მესაუბრა. ცხადია, ჩემი ქმრის, რიჩარდის, გვარი მაშინვე ეცნო. ალბათ, ტრამვაის ლიანდაგზე მოსრიალდა ან მუხრუჭმა უმტყუნაო, მითხრა... თუმცა, საჭიროდ ჩათვალა, ისიც ეთქვა, რომ თურმე ორი დარბაისელი თვითმხილველი – ყოფილი ადვოკატი და ბანკის მოლარე – ამტკიცებდა, ქალბატონმა ხევისკენ სრულიად შეგნებულად და წარბშეუხრელად გადაუხვია, თეთრი ხელთათმანები ეკეთა და მისი ხელები საჭეზე კარგად მოჩანდაო.

მუხრუჭი ნამდვილად არ უმტყუნებდა-მეთქი, ვიფიქრე. მან ეს რაღაც მიზეზით გააკეთა. მერე რა, რომ სხვებსაც ჰქონდათ მსგავსი მიზეზები... ლორა ამ მხრივ სრულიად დაუნდობელი ადამიანი იყო.

– ალბათ გვამის ამოცნობა იქნება საჭირო... ვეცდები, რაც შეიძლება სწრაფად მოვიდე, – ვუპასუხე პოლიციელს და საკუთარი ხმის სიმტკიცემ გამაოგნა – თითქოს მე კი არა, ვიღაც უცხო და შორეული ლაპარაკობდა... სინამდვილეში სიტყვებს ძლივს მოვუყარე თავი, ტუჩები დაბუჟებული მქონდა და აუტანელი ტკივილისაგან სახის ნაკვთებს ვერ ვიმორჩილებდი, დანტისტთან ყოფნისას რომ იცის ხოლმე, ისე. ლორას საქციელმა გამაცოფა!.. და, მართალი გითხრათ, პოლიციელზეც გავცოფდი, ჩანაფიქრს რომ მიუხვდა და ყველაფერი პირუთვნელად რომ მომახსენა. თითქოს საშინელი ქარიშხალი დამატყდა თავს, ისედაც უკვე ყალყზე დამდგარი თმა ამიწეწა და მერე წყალში ჩავარდნილი მელნის წვეთივით უთავბოლოდ დამაბზრიალა.

– ვშიშობ, რამდენიმე კითხვაზეც მოგიწევთ პასუხის გაცემა, მისიზ გრიფენ, – მითხრა პოლიციელმა.

– ბუნებრივია. თუმცა, დარწმუნებული ვარ, უბედური შემთხვევა იქნებოდა. ჩემი და ყოველთვის ცუდი მძღოლი იყო.

ლორას ფაქიზი სახის ოვალი დამიდგა თვალწინ... მისი კეფაზე საგულდაგულოდ დამაგრებული თმა და სადა კაბა, რომელიც ეცმებოდა – წელში გადაჭრილი, პატარა მრგვალი საყელოთი, უჟმური, უსიცოცხლო ფერის: მეზღვაურების ფორმასავით მუქი ლურჯი, ფოლადივით რუხი, ან ჰოსპიტლის კედელივით ჩაჟამებული მწვანე... მოკლედ, „პენიტენციალური“ შეფერილობის... ისეთის კი არა, რომლის ტარებაც გულს გაუხარებდა, არამედ ისეთის, პატიმარს რომ შეეფერება... ალბათ საზეიმო ღიმილიც დასთამაშებდა სახეზე და ოდნავ გაკვირვებული წარბიც აქაჩული ექნებოდა, როგორც თვალწინ გადაშლილი პერსპექტივით აღფრთოვანებულ ადამიანს.

თეთრი ხელთათმანები... პილატე პონტოელი გაითამაშა ქალბატონმა, ჩემზე ხელები დაიბანა!.. ჩემზეც და ყველა დანარჩენზეც.

ნეტა რაზე ფიქრობდა, მანქანით ხევისკენ რომ მიფრინავდა, ნაშუადღევის მზის სხივებში რომ გამოეკიდა წამით, ნემსიყლაპიასავით აბრჭყვიალებული, და ბოლოჯერ რომ ამოისუნთქა დანარ-

ცხებამდე? ალექსზე? რიჩარდზე? საკუთარ უიღბლობაზე? მამაჩ-ვენზე და მის მარცხზე? იქნებ ღმერთზე და თავის საბედისწერო სამმხრივ გარიგებაზე? ან სულაც იმ იაფფასიანი სასკოლო რვეულების დასტაზე, რომელიც ჩემი კარადის წინდების უჯრაში დილაადრიან საკუთარი ხელით შეჩურთა იმ იმედით, რომ მხოლოდ მე ვიპოვიდი?

პოლიციელი რომ წავიდა, ზედა სართულზე ავედი ტანსაცმლის გამოსაცვლელად. მორგში, ალბათ, ხელთათმანები და პირბადიანი ქუდი დამჭირდებოდა. თვალები რაღაცით ხომ უნდა დამეფარა? ჟურნალისტების შემოსევაც არ იყო გამორიცხული... ტაქსი უნდა გამომეძახებინა, რიჩარდთანაც უნდა დამერეკა, ოფისში; ალბათ საგაზეთო სტატიის მომზადებას დაავალებდა ვინმეს. გარდერობს მივაშურე. რამე შავი უნდა ამერჩია და ცხვირსახოციც არ უნდა დამვიწყებოდა.

კარადის უჯრა გამოვაღე და რვეულები დავინახე. დასტაზე ჯვარედინად შემოხვეული თასმა გავხსენი. ვიგრძენი, რომ კბილს კბილზე მაცემინებდა და მთლად გაყინული ვიყავი. შოკის ბრალი იქნება-მეთქი, ვიფიქრე.

უცებ რენი წამომიტივტივდა ბავშვობის დროინდელი მოგონებებიდან. რამეს რომ ვიტკენდით, ჭრილობებს რენი გვიხვევდა ხოლმე. დედა ან ისვენებდა, ან მნიშვნელოვანი საქველმოქმედო საქმით იყო დაკავებული. რენი კი მუდამ ჩვენთან იყო. ხელში აგვიყვანდა და სამზარეულოს მაგიდაზე შემოგვსვამდა, ღვეზლის ცომის (რომელსაც ზელდა), ან დაჭრილი ქათმისა თუ გამოშიგნული თევზის გვერდით, სადილად რომ გვიმზადებდა. მერე ყავისფერი შაქრის ერთ კვნიტსაც ჩაგვიდებდა პირში, რომ გავეჩუმებინეთ, და გვკითხავდა, – *აბა მითხარი, სად გტკივა? ნუღარ მოთქვამ, დამშვიდდი და მაჩვენე, რა გტკივა.*

მაგრამ ყველას არ შეუძლია იმის ახსნა, რა სტკივა. ზოგი ვერც მშვიდდება და არც მოთქმის შეწყვეტა უნდა.

ტორონტო სტარი, 26 მაისი, 1945

ტრაგიკული სიკვდილით აღძრული კითხვები

სპეციალურად სტარისთვის

გასულ კვირას სენტ-კლერ-ავენიუზე მომხდარი ტრაგედიის გარემოებათა პირველადმა მოკვლევამ ცხადყო, რომ მის ლორა ჩეიზი უბედურმა შემთხვევამ იმსხვერპლა. ამა წლის 18 მაისს, ნაშუადღევს, 25 წლის ქალბატონი დასავლეთისაკენ მიემგზავრებოდა, როდესაც მისი მანქანა მოცურდა, მთელი ძალით დაეჯახა ხიდზე აღდგენითი სამუშაოების მონაკვეთის დამცავ ბარიერს და, ალმოდებული, ხევში გადაიჩეხა. მის ჩეიზი ადგილზე გარდაიცვალა. გარდაცვლილის დამ, მისიზ გრიფენმა, ცნობილი მრეწველის, რიჩარდ გრიფენის მეუღლემ, აღნიშნა, რომ მის ჩეიზს შაკიკი აწუხებდა და მხედველობის სერიოზული პრობლემები ჰქონდა. მისიზ გრიფენმა კატეგორიულად გამორიცხა მანქანის არაფხიზელ მდგომარეობაში მართვის ვერსია, რადგანაც, მისი თქმით, მისი და საერთოდ არ სვამდა.

პოლიციის ვარაუდიც, რომ მანქანა ტრამვაის დაზიანებულ ლიანდაგზე მოცურდა, უბედური შემთხვევის ვერსიის სასარგებლოდ მეტყველებს. დაისვა კითხვა – ხომ არ იყო ეს ყველაფერი ქალაქის მერიის საგზაო უსაფრთხოებისადმი გულგრილი დამოკიდებულების შედეგი? მაგრამ, ქალაქმშენებლობის მთავარი ექსპერ-

ტის, ინჟინერ გორდონ პერკინზის დასკვნის საფუძველზე, ამ კითხვაზე უარყოფითი პასუხი მივიღეთ.

ზემოაღნიშნულმა უბედურმა შემთხვევამ კვლავ გაამძაფრა საპროტესტო გამოსვლები ქალაქის ცენტრალურ ქუჩებზე ტრამვაის ლიანდაგის გაუმართაობის გამო. ადგილობრივმა მცხოვრებმა, ბატონმა ჰერბ ტ. ჯოლიფმა, ჟურნალისტებს აცნობა, რომ ეს პრობლემური საკითხის იგნორირებით გამოწვეული პირველი უბედური შემთხვევა არ ყოფილა.

ქალაქის მესვეურებს მოვუწოდებთ, სასწრაფოდ იღონ ყურად ეს მნიშვნელოვანი განცხადება.

ბრმა მკვლელი. ავტორი ლორა ჩეიზი
რეინგოლდი, ჯეინზი და მორო, ნიუ-იორკი, 1947

პროლოგი: *ალპური ბაღის მრავალწლოვანი მცენარეები*

ამ ერთადერთი ფოტოს გარდა, მისი სხვა სურათი არ გააჩნია. ყავისფერ კონვერტში ჩადო და კონვერტზე „ამონარიდები“ დააწერა. მერე კონვერტი *ალპური ბაღის მრავალწლოვანი მცენარეების* სქელი ტომის შუა გვერდებში შეაცურა; იცის, რომ იქ კაციშვილი ვერ მიაგნებს.

ამ ფოტოს ძალიან უფრთხილდება, რადგანაც მისგან მხოლოდ ესღა დარჩა. შავ-თეთრი ფოტოა, ომამდე გადაღებული, მაგნიუმის ნათებითა და იმ უზარმაზარი, ყუთივით ფოტოაპარატით, აკორდეონივით დაჭმუჭნილი, ძვირფასი ტყავის „დინგი“ რომ ჰქონდა და ათასი თასმითა და ლითონის სამაგრით იყო გაწყობილი.

სურათზე ერთად არიან, თვითონ და ის კაცი, პიკნიკზე ყოფნისას გადაიღეს. სურათის უკანა მხარეს „პიკნიკი“ აწერია, ფანქრით; მათი სახელები კი არა, უბრალოდ – „პიკნიკი“. სახელები ხომ ისედაც იცის და მიწერა რაღა საჭიროა?

რაღაც ხის ქვეშ სხედან, მგონი ვაშლის ხე იყო, მაშინ ხის ჯიშის დასადგენად ნამდვილად არ სცხელოდა. თეთრი, იდაყვებამდე აკაპიწებული ბლუზა და განიერი, მუხლებზე შემოხვეული ქვედატანი აცვია. ეტყობა, სიო უბერავდა, რადგანაც ბლუზა ოდნავ გაბერილია, პატარა იალქანივით... ან ეგებ არც უბერავდა და ბლუზა უბრალოდ

რაღაცას წამოედო. შესაძლოა, ცხელოდა კიდეც... ჰო, ნამდვილად ცხელოდა. აი ახლაც, სურათს ხელი რომ გადაუსვა, ისევ ის სიმხურვალე იგრძნო... სურათს სიმხურვალე ისე შეენარჩუნებინა, როგორც დღისით მზეზე გავარვარებული ლოდი ინარჩუნებს ხოლმე შუაღამემდე.

კაცს ღია ფერის, თვალებამდე ჩამოფხატული ქუდი ახურავს და სახეს ნახევრად უჩრდილავს. სახე უფრო გარუჯული აქვს, ვიდრე ქალს. ქალი ნახევრად მისკენ არის მიბრუნებული და ისე უღიმის, არავისთვის რომ აღარ გაუღიმია მას შემდეგ. ძალიან ახალგაზრდაა, მეტისმეტად ახალგაზრდა, თუმცა მაშინ სულაც არ ფიქრობდა ასე. კაციც იღიმება და თეთრი კბილები ალმოდებულივით უელავს, მაგრამ ერთი ხელი ისე აქვს აწეული, თითქოს ხუმრობით იგერიებს ქალს ან იმ კამერის ობიექტივს, რომლითაც ვიღაც მესამე, მათთან ერთად მყოფი, სურათს უღებთ. ანდა სულაც იმ მზერის არიდება უნდა, რომლითაც მომავალში უცხო თვალები დაუწყებენ თვალიერებას და მის სულში ჩახედვას შეეცდებიან ამ პრიალა ქაღალდის კვადრატული სარკმლიდან. ან ეგებ ამ ქალისაგან უნდა თავის დაცვა? ეგებ თავად ამ ქალის დაცვაც სურს? დასაცავად გამოწვდილ ხელში თითქმის ბოლომდე ჩამწვარი სიგარეტი უჭირავს.

ქალი მარტო რომ რჩება, ყავისფერ კონვერტს გამოაძრობს ხოლმე, გაზეთიდან ამოჭრილი ამონარიდებიდან ამ ფოტოს ამოარჩევს, მაგიდაზე დადებს და დიდხანს, დიდხანს დაჰყურებს. თითქოს საკუთარი გამოსახულების მიღმა რაღაცის დანახვა უნდა; რაღაც ისეთის, რაც დაკარგა, მაგრამ იმედოვნებს, რომ სადღაც მაინც იჩენს თავს, სადღაც მაინც გაიკიაფებს ქვიშაში ჩაკარგული ძვირფასი თვალივით. ყოველ დეტალს ყურადღებით აკვირდება: მზის სხივებით განათებულ კაცის თითებს, მისი ტანსაცმლის ნაკეცებს, ხის ფოთლებს და ზედ ჩამოკონწიალებულ იმ პატარა, მრგვალ ჩრდილებს, რომლებიც ალბათ ვაშლებია... ნეტა, ბოლოს და ბოლოს, ვაშლები იყო, თუ არა? ფეხებს გატრუსული ბალახი უფარავთ. გვალვა იდგა და ბალახი მთლად გადახრუკულიყო.

სურათის ერთ მხარეს, თავიდან რომ ვერც კი შენიშნავ, ვიღაცის მაჯასთან გადაჭრილი ხელი ჩანს. ბალახზე დევს თავისთვის, თითქოს პატრონს ეზედმეტა და გადააგდოო.

კაშკაშა ცაზე მოყვითალო ღრუბლის კვალი ნაყინის ლაქასავით გადღაბნილა. კაცის ნიკოტინისაგან ჩამუქებული თითები. შორეული მდინარის ლიცლიცი... მერე ყველაფერი უკუნმა შთანთქა.

მაგრამ დღემდე მაინც მზესავით ბდღვრიალებს.

II